თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4568394

ნომერი: AR1690198

თარიღი : 25.06.2019

გაცემის თარიღი : 01.07.2019

გაცნობის თარიღი : 01.07.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით გიორგაძე პ/ნ 37001007412
- , ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ზღვის უბნის დას., XI მ/რ., I კვ., კორპ. № 6, ბ. 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13 მაისის №4496066 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 25 ივნისის NAR1690198 განცხადებით მომართა დავით გიორგაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ

– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13 მაისის №4496066 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 13 მაისის №4496066 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, დიდი დიღომი, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.72.14.035.802), მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2019 წლის 27 მაისის №4517782 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 27 მაისიდან 2020 წლის 27 მაისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 13 მაისის №4496066 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 4428.8 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 4418.00 კვ.მ, კომერციული ფართობი 556.3 კვ.მ-ის ნაცვლად 565.40 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 1688.5 კვ.მ-ის ნაცვლად 1691.40 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 563.0 კვ.მ-ის ნაცლვად 1135.40 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი 1170.1 კვ.მის ნაცვლად 1206.7 კვ.მ, საერთო ფართობი 8794.7 კვ.მ-ის ნაცვლად 9278.70 კვ.მ, ასევე, მოთხოვნილია დამხმარე ფართობის - 22.70 კვ.მ-ის დამატება და საწარმოო ფართობის ნაცვლად (388.0 კვ.მ) სასაწყობე ფართობის 239.1 კვ.მ-ის დაფიქსირება. განმცადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია გასწორებული გეგმები.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხ. რეგისტრაცია – N882019449902 მომზადების თარიღი: 07/06/2019 15:12:43) მიხედვით, N01.72.14.035.802 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ჯი-ბი-ჯი“ (400177642). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B16086523, მომზადების თარიღი: 08/06/2016 10:54:06), შპს „ჯი-ბი-ჯი“-ს (400177642) დირექტორს წარმოადგენს დავით გიორგაძე (პ/ნ: 37001007412).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13 მაისის №4496066 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13 მაისის №4496066 ბრძანებაში კერძოდ: აღნიშნულ ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს დამხმარე ფართობი 22,70 კვ.მ, ასევე ბრძანებიდან ამოღებულ იქნას საწარმოო ფართობი 388.0კვ.მ და მის ნაცვლად დაფიქსირდეს სასაწყობე ფართობი 239.10 კვ.მ. სამსახურის 2019 წლის 13 მაისის №4496066 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდეს 9278.70 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობად 4418.00 კვ.მ, კომერციულ ფართობად 565.40 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 1691.40კვ.მ, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 1135.40კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 1206.70კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13 მაისის №4496066 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2019 წლის 25 ივნისს №AR1690198 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13 მაისის №4496066 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13 მაისის №4496066 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.